დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს #3 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა ხვედელიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

დავით ჩივაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ია ვარდოსანიძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ლელა წურწუმია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ნებიერიძე უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი

თამარ დეკანოსიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ტაბუცაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეა გაბისონია სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნატო გერგაია მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნათია კოხოძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

მიხეილ გაფრინდაშვილი სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს #3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230078279

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვედა საზანო
იურიდიული მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა #2
ფაქტობრივი მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა #2
საფოსტო ინდექსი	**2000**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kvsazano3@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 23 0001004584 17 აგვისტო, 2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	04-05 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული ენა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა #2
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული ენა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა #2
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული ენა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვედა საზანო, სასახლის ქუჩა #2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარე სკოლის მასალების მიღებისთანავე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეკონტაქტა ჯგუფის წევრებს, ჩანიშნა ონლაინ შეხვდრა teams-ში. შეხვდრაზე გადანაწილდა ფუნქციები, პირველ და მეორე სტანტარტზე მუშაობა დაევალა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტს, ხოლო მესამე, მეოთხე სტანდარტზე მუშაობა ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. გაიმართა რიგგარეშე შეხვედრაც და ექსპერტები შეთანხმდნენ ვიზიტის დღეს საგნობრივი ჩართვების გრაფიკზე.

საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი სკოლის კათედრების წევრებთან წარიმართა გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით მასწავლებლებმა გაითვალისწინეს და გასწორებული სახით წარმოადგინეს ვიზიტის შემდგომ დამატებით დოკუმენტაციაში. თანამშრომელებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად, სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე, ასევე მათ გაცნობიერებული აქვთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და მზად არიან იმუშაონ სუსტი მხარეების დასაძლევად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი **1** სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **1.1** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **1.2** სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი **3** სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.1** პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.2** პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.3** პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.4** ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.5** მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.6** საინფორმაციო რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.7** ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი **4** მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **4.1** მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი **4.2** მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **211**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -სრული
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -სრული
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- სრული

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ინდიკატორი *N....*		

სტანდარტი ***N2***	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი ***N2***	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი

სტანდარტი ***N2***	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი ***N1***	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი *N3*	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი *N3.1.2.3*	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლამ წარმოადგინოს 2020 წლამდე დასაქმებულდა პირად საქმეებში ნასამართლეობის ცნობა, 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ სკოლის პერსონალის პირად საქმეებ არ ინახება სამი სახის ცნობა:ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. ზოგიერთი დასაქმებულის პირადი საქმე სკოლაში არ ინახება. განახლებული შრომითი ხელშეკრულებები 30.11.23 წლამდე
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების. შესახებ დასკვნის წარმოდგენა 18.09.24 წლმდე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა 18.09.2024 წლამდე
სტანდარტი *N4*	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი *N1*	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი *N*....		.....

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი *N1*	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	რჩევა : საკონსულტაციო/ სხვა ტიპის შეხვედრები , რომლებიც ემსახურებოდა მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებას სასურველია იყოს დოკუმენტირებული.
ინდიკატორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	რჩევა: მისიის, ხედვის, ღირებულებების გაზიარებისათვის სრულყოფილად იქნას გამოყენებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული მრავალფეროვანი მექანიზმები. გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშობა მიზნობრივ ჯგუფებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან და ა.შ.,
ინდიკატორი 1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	რჩევა: მისიის ხედვისა და ღირებულებების გასაჯაროებისათვის სხვა, მრავალფეროვანი მექანიზმებიც იქნას გამოყენებული.
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	რჩევა: გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება წინ უნდა უძღოდეს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	რჩევა: სამოქმედო გეგმაში ჩაიშალოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებ ინდიკატორები და აქტივობების შესასრულებლად საჭირო რესურსები .
ინდიკატორი 1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	რჩევები: სტრატეგიული დაგეგმვის და მისი შედეგების ანალიზის მიმართულებით არსებული გამოცდილება (2014-2020 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმა) სკოლამ გამოიყენოს ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.
სტანდარტი ***N3***	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდე მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულებ მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას მიეცა რჩევა ადამიანური რესურსების მართვისპოლიტიკის დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულმა დირექტორმა დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.
ინდიკატორი *N3.4.1.3*	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმებში გარკვეული ფუნქციები დაკისრებული აქვს მანდატურს, ვინაიდან ამ დროისთის სკოლას არ ემსახურება მანდტური სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტში შეიტანოს ცვლილება და ფუნქციები დაეკისროს სხვა პირს.

ინდიკატორი 3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები *(მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).*	სკოლას მიერცა რჩევა კურიკულუმში გაწერილი რესურსების კატალოგის შექმნისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსებით სრულყოფის თაობაზე
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
სტანდარტი ***N4***	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი *N4.2.1.1*	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტში ასევე შეიტანოს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პროცედურები.
ინდიკატორი 4.2.1.4	სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.

ინდიკატორი 4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი რომელშიც გაწერილი იქნება სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება, სსსმ სტატუსის მინიჭება, მოხსნა, სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მომსახურება, სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, ჩართულობა, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობა, შიდა მონიტორინგი, სამოქმედო გეგმა.

სტანდარტი ***N2***	სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	რჩევა
ინდიკატორი *N2.1.1.3*	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	**რჩევა:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნის პედაგოგებმა სამომავლო მეტად მოახდინონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრებ წევრებმა შემუშავებული კომპლექსური დავალებების ბარათები გაუზიარ მშობლებს და მათგან მიიღონ უკუკავშირი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა- კურიკულუმის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია კურიკულუმში განისაზღვროს კონტექსტ მაგალითები, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროსკომპლექსური ტიპის დავალებები.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	რჩევა: სპორტის მიმართულებით , სასურველია სასწავლო წლის განმალობაში თითოეულ თემის კომპლექსურ დავალების ქვეცნებებს დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე	რჩევა: ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, დაწყებით საფეხურზე, თემის

	ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებას დაერთოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლიც ორიენტირებას მოახდენს წლის განმავლობაში დასამუშავებენ გრძელვადიან მიზანზე/მიზნებზე.

სტანდარტი ***N2***	სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	რჩევა
ინდიკატორი *N2.1.1.3*	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	რჩევა**:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნის პედაგოგებმა სამომავლო მეტად მოახდინონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური ჩართ კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრებ წევრებმა შემუშავებული კომპლექსური დავალებების ბარათები გაუზიარ მშობლებს და მათგან მიიღონ უკუკავშირი.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	რჩევა: საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ სრულყოს შეფასების რუბრიკები; შეიმუშავოს ყველა თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	რჩევა: ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, საბაზო საფეხურზე, თემის ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებას დაერთოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლიც ორიენტირებას მოახდენს წლის განმავლობაში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზანზე/მიზნებზე.

სტანდარტი ***N2***	სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	რჩევა
ინდიკატორი *N2.1.1.3*	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	**რჩევა:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნის პედაგოგებმა სამომავლო მეტად მოახდინონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური ჩართ კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრებ წევრებმა შემუშავებული კომპლექსური დავალებების ბარათები გაუზიარონ მშობლებს და მათგან მიიღონ უკუკავშირი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	რჩევა: მე-11 კლასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები შესაბამისად, მიეთითოს შუალედური მიზნები/კომპლექსური ტიპის დავალებები და კონტექსტ მაგალითები ასევე მიეთითოს, რომელ გრიფირებულ სახელმძრვანელოზე დაყრდნობით მუშაობს კათედრა ამ მიმართულებით.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	რჩევა: საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ სრულყოს შეფასების რუბრიკები; შეიმუშავოს ყველა თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკები. რჩევა: სპორტის მიმართულებით , სასურველია სასწავლო წლის განმალობაში თითოეულ თემის კომპლექსურ დავალების ქვეცნებებს დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	რჩევა: ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, საშუალო საფეხურზე, თემ ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებას დაერთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლიც ორიენტირებას მოახდენს წლ განმავლობაში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზანზე/მიზნებზე.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ნაწილი **III.** სტანდარტების აღწერა და შეფასება **(I, III** და **IV** სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისია და ხედვა, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მოდის შესაბამისობაში.

<u>სკოლის მისიაა,</u> ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობის მსოფლიო მოქალაქედ ფორმირებაზე ზრუნვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, ქვეყნის სახელმწიფოებრივი, მეცნიერული, ეკონომიკური, ბუნებრივი მონაპოვრების დაცვასა და განვითარებას.

<u>სკოლის ხედვა:</u> სკოლას კარგად ესმის, რომ არ არსებობს სწორხაზოვანი სწავლება, რადგან ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი, შესაძლებლობა და განვითარების განსხვავებული პოტენციალი, ამიტომ სკოლა ზრუნავს თანადგომით, პასუხისმგებლობით, თანამშრომლობით, სიყვარულითა და ერთგულებით, თითოეულმა მოსწავლემ შეიგრძნოს და დაინახოს საკუთარი განვითარების პროგრესი.

2030 წლისთვის სკოლის პედაგოგთა ხარისხოვან პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირება, ხელშემწყობი იქნება მოსწავლეების ღირებული სასწავლო გამოცდილების და სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდების ზიარების და მისცემს მათ მზაობას საერთაშორისო სტანდარტის დონის განათლების მისაღებად.

სკოლის ყველა თანამშრომელის ზრუნვა უსაფრთხო გარემოში ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე მათ სოციუმის სრულფასოვან წევრებად ჩამოაყალიბებს.

სკოლა ითვალისწინებს, თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს, პოტენციალს, ხელს უწყობს განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და მაქსიმალურად განვითარებას. მიმართულია საზოგადოების, სკოლისა და ოჯახის კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხედვის დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ ყველა თანამშრომელმა უნდა იზრუნოს უსაფრთხო გარემოში ბავშვების მრავალმხრივ განვითარებაზე (გონებრივი , ფსიქიკურ, ემოციური, სულიერი) და მათ სოციუმის სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაზე. ხედვის მიხედვით, სკოლა გაითვალისწინებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს მისი ნიჭის გამოვლენას; აქცენტი არის გაკეთებული მოსწავლის ინდივიდუალურ ნიჭიერებაზე, შესაძლებლობებზე და განვითარების პოტენციალზე, რომლის გათვალისწინებაც, ხედვის ავტორების აზრით, მნიშვნელოვანი არის იმისათვის, რომ თითოეულ მოსწავლესთან პროგრესი იქნას მიღწეული. პიროვნების განვითარებაზე არის ორიენტირებული სკოლის მისია, საიდანაც დაწესებულების ძირითად მიზნად იკვეთება ეროვნული ინტერესების და

ტრადიციების დამცველი , კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, ზნეობრივად და სულიერად ჯანსაღი თაობის გაზრდა. შესაბამისად, მისიითა და ხედვით სკოლის როლი განსაზღვრული არის, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით, მიმდინარე წლის მაისში სკოლაში ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნა ადმინისტრაციის და პედსაბჭოს წარმომადგენლებით. ფილოსოფიის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა „სკოლის მისიის , ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მისიისა და ხედვის შემუშავება შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება; ბ) პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, თემისთვის და შესაძლებელია სამეურვეო საბჭოსთან წარდგენაც; გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება. შემუშავებული იქნა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების პროექტი; როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს პროცესშიგამოიკვეთა, შემუშავების პროცესში კონსულტაციები მიმდინარეობდა პედაგოგებთან, დაინტერესებულ პირებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა : საკონსულტაციო/ სხვა ტიპის შეხვედრები , რომლებიც ემსახურებოდა მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებას სასურველია იყოს დოკუმენტირებული.

4. სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ გათვალისწინებული არის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, თემისთვის და ასევე, საჭიროებისამებრ სამეურვეო საბჭოსთვის იგივე დოკუმენტით განსაზღვრული არის ინფორმაციის გაზიარების სქემა, რომლის მიხედვითაც გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების/ სამეურვეო საბჭოს/ თემის წარმომადგენლებისათვის, შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: ელექტრონული ფოსტა, ღია შეხვედრა და საჯარო განხილვა, პედსაბჭოს სხდომა, სამეურვეო საბჭოს სხდომა, სკოლის ვებგვერდი. დირექციამ დაინტერესებულ ჯგუფებს მისია, ხედვა და ღირებულებები გააცნო უშუალო კომუნიკაციის გზით; დოკუმენტი გაზიარებულ იქნა სკოლის ვებგვერდის საშუალებით, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: მისიის, ხედვის, ღირებულებების გაზიარებისათვის სრულყოფილად იქნას გამოყენებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული მრავალფეროვანი მექანიზმები. გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშობა მიზნობრივ ჯგუფებთან,

სტრუქტურულ ერთეულებთან და ა.შ.,

5. სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების დასკვნითი ეტაპი არის შემუშავებული განაცხადის წარდგენა დირექტორისათვის და გამოქვეყნება სკოლის ვებგვერდზე. სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებული არის სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო კოლექტივის, თემისა და ფართო საზოგადოებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მისიის, ხედვისა და ღირებულებების გასაჯაროებისათვის სხვა, მრავალფეროვანი მექანიზმებიც იქნას გამოყენებული.

6. საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“, სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: „სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლა“. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის ვებგვერდი
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის - სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის თვითშეფასება
3. ბრძანება N2-42 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის მისიის , ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 2023 წლის 29 აგვისტო.
4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები.
5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“
6. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიაზე

მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ , 2023 წლის 10 მაისი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული არის სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და ა. შ. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით; სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვების პროცესში გათვალისწინებული არის სკოლის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების / ჩატარებული კვლევების ანალიზი , სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შეფასება. სკოლა იყენებს SWOT მეთოდოლოგიას, რაც დაწესებულების ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების გაანალიზებას ემსახურება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰქონდა შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (ექვსწლიანი) 2014 -2020 წლებში. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა მომუშავე ჯგუფი, რომელიც მუშაობდა გრძელვადიან (შვიდწლიან) სტრატეგიულ გეგმაზე, რომელიც მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან იქნებოდა თავსებადი. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტიცდებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2023-2024 წლებში განსახორციელებელ პრიორიტეტებს ასახავს. კონკრეტულად კი მასში შემდეგ მიმართულებებზე არის გამახვილებული ყურადღება: 1. დოკუმენტაციის შემუშავება და ორგანიზაციული განვითარება, 2. სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლება, 3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია 5. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა 6. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა 7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება 8. სწავლებისა და აღზრდის საქმის სტიმულირება, 9. მშობელთა ჩართულობა 10. ტრადიციული ღონისძიებები. დოკუმენტი თანხვედრაში მოდის სკოლის ხედვასთან და მისიასთან, სადაც პრიორიტეტულია მოსწავლეებისათვის პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული, უსაფრთხო გარემოს შექმნა, სწავლა -სწავლების ხარისხის ამაღლება და ა. შ . მნიშვნელოვანია ერთწლიანის სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში მოდიოდეს გრძელვადიან გეგმასთან, რომელიც მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილი არ ყოფილა. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ სამოქმედო გეგმა სტრატეგიულ გეგმაზე და სკოლის

ყოველწლიურ თვითშეფასებაზეა არის დაფუძნებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება წინ უნდა უძღოდეს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული არის განვითარების მიმართულებები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები, განხორციელების ვადები. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის დაკონკრეტებული რესურსების და გეგმის შესრულების ინდიკატორები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

   რჩევა: სამოქმედო გეგმაში ჩაიშალოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები და აქტივობების შესასრულებლად საჭირო რესურსები .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის - სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის თვითშეფასება
2. ბრძანება N2-42 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის მისიის , ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 2023 წლის 29 აგვისტო.
3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები.
4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“
5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ , 2023 წლის 10 მაისი.
6. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , 2023-2024 სასწავლო წელი.
7. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გათვალისწინებული არის სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა წელიწადში ორჯერ განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, შეფასება კი შეგროვილი მონაცემების გაანალიზებას. მონიტორინგისათვის სკოლა გამოიყენებს დრაივზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილს და საქაღალდეს, სადაც შეგროვდება მტკიცებულებები. პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები ვალდებულები არიან დრაივზე წარმოადგინონ ანგარიში, ინფორმაცია თითოეული აქტივობის შესრულების შესახებ და ა.შ. სამუშაო ჯგუფის წევრები შეამოწმებენ დრაივზე განთავსებულ ინფორმაციას და განსაზღვრავენ „შესრულება-არშესრულების“ საკითხებს. მონიტორინგის პროცესის შემდეგ განხორციელდება შეფასება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტით, თვითშეფასებით და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, დაწესებულება განახორციელებს

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას სასკოლო საზოგადოების, სისტემის სხვა დაინტერესებულ მხარეებზე დაყრდნობით. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს, ამისათვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა დაგეგმვის პროცესში და შემუშავებული მასალების მათთვის გაზიარება. „მისიის , ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი დამტკიცებული იქნა 2023 წლის 29 აგვისტოს. მანამდე მსგავსი სისტემური გამოცდილება სკოლას არ ჰქონდა. დაწესებულება გეგმავს იხელმძღვანელოს აღნიშნული დოკუმენტით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის „მისიის , ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის მე-12 მუხლით გათვალისწინებული არის ანგარიშების მომზადება (სამოქმედო - ყოველწლიურად, ხოლო სტრატეგიულის - სამ წელიწადში ერთხელ). ანგარიშები უნდა წარედგინოს დირექტორს, რომელიც თავის მხრივ, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს მას. დამტკიცებული ანგარიშები კი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. საჯაროობის მიზნით გათვალისწინებულია, ასევე, სახვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენება (საჯარო განხილვა, კოლეგიური ორგანოების სხდომები და ა.შ.) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. როგორც სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, ანგარიშების, რეფლექსიების საფუძველზე მოხდება დაწესებულების არსებული საჭიროებების გამოკვეთა, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, გაანალიზდებაშედეგები, ხოლო მათზე დაყრდნობით კი დაისახება პრიორიტეტები, რომლებიც ასახული იქნება გეგმებში და მიმართული იქნება სკოლის განვითარებისაკენ. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვილ ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში კი, მასზე დაყრდნობით ჯგუფის თავმჯდომარე დირექტორს მიმართავს სამოქმედო/ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით. მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს სტრატეგიული დაგეგმვის ციკლური ბუნება და თითოეული ციკლის დასაწყისში მიზნობრივი ჯგუფების ჩართვის აუცილებლობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევები: სტრატეგიული დაგეგმვის და მისი შედეგების ანალიზის მიმართულებით არსებული გამოცდილება (2014-2020 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმა) სკოლამ გამოიყენოს ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის - სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის თვითშეფასება
2. ბრძანება N2-42 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N3 საჯარო სკოლის მისიის , ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 2023 წლის 29 აგვისტო.
3. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“
4. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , 2023-2024 სასწავლო წელი.
5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N 3 საჯარო სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის წესდებით, ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგით გასაზღვრული საშტატო ერთეულების ფუნქციათა აღმწერი დოკუმენტი. დირექტორი #2-52 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილია, ბუღალტრის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, ექიმის, დარაჯის, დამლაგებლის, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო დოკუმენტის მეორე თავი ეთმობა კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს დებულებებს. ცალკე დოკუმენტების სახითაა წარმოდგენილი ბიბლიოთეკისდებულება, დამრიგებლის დებულება, ექიმის ინსტრუქცია, მოსწავლეთა თითმმართველობის დებულება, მრჩეველთა საბჭოს დებულება, სამეურვე საბჭოს დებულება, საქმისწარმოების დებულება, უსაფრთხოების კოორდინატორის დებულება, ხარისხის ჯგუფის დებულება. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დასტურდება მათი კოორდინირებული მუშაობა, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება, დამტკიცება, შიანგანაწესის დამტკიცება, მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა, წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება, თავმჯდომარე/მდივნის არჩევა და ა.შ. რაც ხელს უწყობს სკოლის სრულფასოვნად ფუნქციონირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებითა და სტრუქტურული ერთეულების/პირების

ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება. სკოლამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა, რომელშიც ასახული და გამოკვეთილი იქნება ის ფაქტი, რომ სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილი იქნება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მმართველობითი ძირითადი და დამხმარე პროცესების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის #2-54 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის დებულება, რომელიც მოიცავს ხარისხის ჯგუფის მუშაობის პრინციპებს. ინტევიუს დროს ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს რომ გასულ წლებში ისინი მასწავლებელს აკვირდებოდნენ შესაფების რუბრიკების მეშვეობით და სამომავლოდაც გეგმავენ ამგვარ დაკვირვებებს.ხოლო რაც შეეხება უკუკავშირს ისინი ზეპირი კომენტარებით შემოიფარგლებიან, სამომავლოდ გეგმავენ წერილობითი უკუკავშირის მიცემას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები
3. სტრუქტურული ერთეულების სამუშაო დებულებები
4. ხარისხის მართვის დებულება

5. მმართველობითი ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი
6. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
7. სტრუქტურული ერთეულების ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობასთან შესაბამისიობაშია, სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების სრულყოფილად წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს. ვაკანსიის შემთხვევაში სკოლას ახალი კადრი აჰყავს კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პროცედურები დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კადრების პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, დოკუმენტში წარმოდგენილია ასევე პროფესიული განვითარების სტრუქტურული სქემაც. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სწორად ხედავს პროფესიული განვითარების მნიშვნელობას იმ მიზნის კენ სავალ გაზე რაც სკოლას აქვს დასახული. ამ მიმართლებით გაწერილია სკოლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ფუნქციები. დოკუმენტი მოიცავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასა და პერსონალის მოტივაციის საკითხებსაც კი. სკოლას შემუშავებული აქვს ადამინური რესურსების მართვის დებულება. დებულება დაფუძნებულია სკოლის მისიასა და ღირებულებეზე. მოიცავს იმ ღირებულებათა ჩამონათვალს, რასაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის ციკლსა და სტრატეგიებს, დოკუმენტი სრულად მოიცავს ახალი კადრების აყვანის პროცედურებს და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლას მიეცა რჩევა სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულმა დირექტორმა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცდნიერების მინისტრის 2007 წლის 1 აგვისტოს #785 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მასწავლებლებს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგები, რომლთა საჭიროებაც გამოიკვეთა ხარისხის ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრების დროს, ხოლო მიღებული ცოდნა გაუზიარონ კოლეგებს და გადაიტანონ პრაქტიკაში. ასევე დანარჩენი პერსონალის შემთხვევაში სკოლის დირექცია ზრუნავს სიახლეებისა და გამოწვევების კვალდაკვალ მოახდინოს მათი გადამზადება. სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლი ითვალისწინებს არმყოფი მოხელის ჩანაცვლების საკითხს. ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში

სკოლას აქვს შიდა და ღია კონკურისის გამოცხადების შედეგად კადრის აყვანის პრაქტიკა. სკოლის პერსონალს სრულად გაზიარებული აქვს პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში და შინაგანაწესში სკოლას გაწერილი აქვს პერსონალის შერჩევის პროცედურები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია შესაბამისი კადრების მოზიდვა, დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. პერსონალის მოზიდვის მიზნით სკოლა ახორციელებს კანდიდატების შერჩევას საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. სკოლას გამოცხადებული ქონდა მათემატიკის მასწავლებლის ვაკანსია. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. (მასწავლებლის შემთხვევაში ჯერ შიდა კონკურსი, შემდეგ ღია). შიდა კონკურსის შემთხვევაში საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. ვაკანსია მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი, ასევე მოიცავს კონკურსის ეტაპებს. აპლიკანტს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს კონკურსის შედეგები. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს შერჩეული კანდიდატის თაობაზე. ვიზიტის დროს კონკურსის გამოცხადების დოკუემნტაციის გაცნობისას დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ საკონკურსო კომისიაში უზრუნევლყოფილი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მონაწილეობა. სკოლას ასევე შემუშავებული ჰქონდა კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ფასდებოდნენ აპლიკანტები. დირექტორი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. სკოლის

შიანაგანაწესის მე-6 მუხლი მოიცავს დასაქმებული პირის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს, მე-6 მუხლი ითვალისწინებს ნასამართლეობის ცნობის წამროდგენას. ასევე მთავრობის დადგენილების შესაბამისად 2020 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებს სკოლამ დასაქმებულს ასევე უნდა მოსთხოვს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ დასაქმებული პერსონალის პირადი საქმე შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლაში მოქმედ შიდა რეგულაციებთან. სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა რომ აღნიშნული ცნობებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენას უზრუნველყოფს 30.11.2023წელმადე. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას. მათი მონაცემების გადამოწმება მოვახდინეთ eschool-ის ბაზაში ასახული მონაცემების საფუძველზე. ყველა მასწავლებელი ასწავლის იმ საგანს, რომელშიც დადასტურებული აქვს კომპეტენცია. ხოლო პერსონალის პირადი საქმეები სკოლამ არასრულყოფილი სახით წარმოგვიდგინა. სკოლამ დოკუმენტაციაში წარმოადგინა მხოლოდ ექიმის საშტატო ერთეულისთვის განკუთვნილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ბაზაში გადამოწმების დროსაც აღმოჩნდა რომ ექიმის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია პერსონალის შენარჩუნების გზები, სადაც ერთ-ერთი მიმართულება სწორედ გუნდური გარემოა რაც გულისხმობს პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნას, სადაც ურთიერთობები ეფუძნება მოსმენას, აქტიურ კომუნიკაციას და ურთიერთპატივისცემას. სკოლის პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუმ დაგვანახა, რომ სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და

თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები და აიღონ პასუხისმგებლობები.

თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს, ერთად გეგმავენ საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარების გზებს.

სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელის საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება ეფუძნება გუნდურობას და თანამშრომლობას. რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თანამშრომელთა ინტერვიუს შედეგად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლისთვის თითოეული მასწავლების წარმატება მნიშვნელოვანი და ღირებულია. ძალინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას და სასკოლო საზოგადოების მუდმივ ინფორმირებულობას ამ კუთხით. სკოლის მასწავლებელბი აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში. სკოლის მასწავლებლების წარმატებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სისტემატიურად ხდება სკოლის ფეიბუქ გვერდის საშუალებით, აღინიშნება პედაგოგიურ

საბჭოზე თუ საინფორმაციო შეხვედრაზე. სკოლას მასწავლებელთა წახალისების სახეები გაწერილი აქვს სკოლის შინაგანაწესში და პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც პერსონალის მოტივირება და წახალისება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ და პროფესიულ საქმიანობაში მათი დაინტერესებულობის გაზრდისაკენ. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება ასევე გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციით, ინტერვიუს შედეგად და სკოლის ფეისბუქ გვერდით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. თანამშრომელთა ხელშეკრულებები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
3. დანიშვნის ბრძანებები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
4. ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის და წესის დამტკიცების ბრძანებები და ოქმები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
5. პერსონალის პირადი საქმეები (კადრების აღრიცხვის ფურცელი, ტრენინგების გავლის ჩანაწერები)(ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
6. პერსონალის საკვალიფიკაციო და ფუნქციების აღმწერი დოკუმნტი
7. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი
8. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

9. სკოლის ფეისბუქ გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების განვითარებისა და მართვის მექანიზმების მიხედვით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებისა და პერსონალის შეფასების მექანიზმები, კერძოდ: პროფესული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს თანამშრომელთა იდვიდუალური პროფესიული საჭიროებები და ინიციატივები დაასევე ხარისხის მართვის ჯუფის წევრების ურთიერთდასწრების შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციები. პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის

მექანიზმად სკოლა იყენებს ასევე მასწავლებეთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრების შემდეგ აძლევს რჩევებს პროფესიული განვითარებისა და გამოსასწორებელი მხარეების თაობაზე თუ როგორ უნდა განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მიუხედავად იმისა რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი გამოვლენილ საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ წარმოაჩინა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს პერსონალის განვითარების ხელშეწყობას გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების ხარისხით. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და ქოუჩინგში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მასწავლებელს, ინფორმაციის მიწოდებიდან ტექნიკური მხარის მხარდაჭერამდე, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებსა თუ ეროვნულ, რეგიონულ თუ სხვა სახის კონფერენციებში. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ

აძლევს რეკომენდაციას პროფესიული განვითარების მიზნით კონკრეტული მიმართულებების ტრენინგების გავლის შესახებ, რომელსაც ატარებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ ჯგუფის რეკომენდაციას. სკოლაში არის მამოტივირებელი გარემო კარიერული ზრდისთვის. თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწაცლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მასწავლებლები რამდენი საგანში არიან სერტიფიცირებულები, ასევე ზრუნავენ სტატუსის ამაღლებაზე. ერთი მასწავლებელი გახდა მენტორი. ინტერვიუს ფარგლებში ზემოთ აღნიშნულ აქტივობებში მონაწილე პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში გახორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობდა მათ კარიერულ ზრდას. მაგალითად: სკოლაში წახალისებულია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი, უზრუნველყოფილია საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-18 მუხლი „ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. აცნობენ შინაგანაწესს, სკოლაში მოქმედ კანონმდებლობას, ახდენენ მის წარდგენას პედაგოგიურ საბჭოზე, აცნობებ კათედრის წევრებს,ახდენენ მის წარდგენას მოსწავლეებთან, აკვირდებიან მის პრაქტიკულ საქმიანობას და აწვდიან შესაბამის რჩევებს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, ექიმის კაბინეტი. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტი და

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას და მათი იდეების რეალიზებას. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს, ადგილობრივ თუ სარაიონო ღონისძიებებში მათ მონაწილეობას, შიდა საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა - განხორციელებაში უცხადებს თანადგომას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები (მასწავლებლების პირადი საქმეები)
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენეტი
3. ხარისხის ჯგუფის დებულება
4. სკოლის ფეისბუქგვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა დოკუმენტაციით. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას, თემთან თანამშრომლობას და ა.შ. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა,

მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებითა და ანგარიშებით. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხოლციელდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები სკოლაში არსებული მმართველობითი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდება. სკოლაში მიმდინარე პროცესები კანონმდებლობის შესაბამისია. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, კერძოდ, სკოლა ახდენს კურიკულუმის შემუშავებას, სწორად იმართება ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაცულია უსაფრთხოება და წესრიგი, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები, ყოველივე ზემოთ აღნიშნული თავსებადია სკოლის ამ დროისთვის არსებულ მისიასთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება სკოლის კანცელარიაში, რომლის შემდეგაც მიიღება შესაბამისი ზომები. შემოსული საჩივრით დისციპლინური გადაცდომის ნიშნების საკითხს იხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა სკოლაში დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ქონია. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო

საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ ასევე წარმოგვიდგინა ბრძნებით დამტკიცებული დოკუმენტი სადაც გასაჩივრების დეტალური პროცედურებია გაწერილი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების განხილვის სისტემას, თავსებადია სკოლის მიერ დეკლარირებულ მისიასთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. სკოლას ასევე აქვს ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, მშობლის, პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია მშობლის უფლებები, ურთიერთობის სტრატეგიები, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ხარისხის ჯგუფის დებულება

3. სკოლის სოციალური გვერდი
4. მოსწავლის, მშობლისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი
5. საჩივრის განხილვის წესი და პროცედურები
6. სკოლის შინაგანაწესი
7. მმართველობითი ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები
8. მშობელთან ურთიერთობის დებულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის zoom-ის პლატფორმები, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. სკოლის დირექტორი წელიწადში ერხელ აბარებს სამეურვეო საბჭოს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ და იღებს უკუკავშირს. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა

და განვითარების მეთოდოლოგიითაც სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საზოგადოების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში გამოიხატება მის წევრობაში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სამივე საფეხური. აქვე უნდა ითქვას, რომ სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მართვის პროცესში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას. სკოლის პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სამეურვეო საბჭო თავის მხრივ ითანხმებს პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს, ამტკიცებს შინაგანაწესს და მასში შესატან ცვილებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. პედაგოგური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები(გავეცანით ვიზიტის დროს)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასკოლო საზოგადოებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრხოების მექანიზმები და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების ზომებისა და პრევენციული ღონისძიებები სკოლის პერსონალისთვის.სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში დასაქმებულია ექიმი კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი. ექიმი ახდენს მოსწავლეთათვის პირველადი დახმარების გაწევას, საჭიროების შემთხვევაში კი

სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებას. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლას ა უფლებამოსილ ორგანოსთან აქვს გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე. თანხმობის წერილს ელოდება უახლოეს მომავალში. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების თაობაზე. ასევე სკოლას წერილი აქვს გაგზავნილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, შენობის მდგრადობის დოკუმენტის მოპოვების მიზნით. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელთან აქტიური თანამშრომლობით მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების ფაქტები. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. ჩანაწერების დათვალიერებაზე უფლებამოსილია უსაფრთხოებაზე პასუხისმეგებელი პირი, აღნიშნულის შესახებ მის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტში ვკითხულობთ. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისდაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. სკოლას დღეის მდგომარეობით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნა სკოლას არ აქვს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული და სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის დოკუმენტი და არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა, რომ აღნიშულ დოკუმენტებს წარმოადგენს 18.09.2024 წლამდე და აიყვანს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს 18.09.2024 წლამდე .

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შექმნილი აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა

ხდება მასწავლებელთა მორიგეობით(დოკუმენტის სახით წარმოდგენილია განრიგი), ექიმის მომსახურებით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს და აღრიცხავს უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ასევე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში ჩართულია დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წესრიგის ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვეაში იქცევა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას დამტკიცებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისა და დაცვის მექანიზმები, კონფლიქტების მართვის სტრატეგიები, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მხარდაჭერა. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სკოლის მიერ წარმოდგენილ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმებში გარკვეული ფუნქიები დაკისრებული აქვს მანდატურს, ვინაიდან ამ დროისთის სკოლას არ ემსახურება მანდტური სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტში შეიტანოს ცვლილება და ფუნქციები დაეკისროს სხვა პირს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებელი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლის ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული დამლაგებლები, ასევე სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებული დამლაგებელი/მეეზოვე. შესაბამისად, საკმარისი ადამიანური რესურსია სანიტარული პირობების უზრუნველსაყოფად. სკოლას აქვს წარმოდგენილი სანიტარულ ჰიგიენური ნორმებისდაცვის მექანიზმი. ასევე ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის მე-9 მუხლი ეთმობა სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვას. დოკუმენტს ახლავს ცხრილი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მონიტორინგი დასუფთავების მიმართულებით. სკოლაში ვიზიტის დროსაც დადასტურდა რომ სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე მომხმარებლის პაროლის დაცვაზეც პასუხისმგებელია საქმის მწარმოებელი და სხვა პირს გარდა საქმისმწარმოებლისა ხელი არ მიუწვდება მომხარებელსა და პაროლზე. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, დოკუმენტში გაწერილია: მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, დებულება ასევე ითვალისწინებს

მონაცემთა დაცვის მონიტორინგსა და სკოლაში დასამებულ პირთათვის აღნიშნული დოკუმენტის გაცნობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში მე-10 მუხლი მოიცავს ინფორმაციის უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებს, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია: ყველა კომპიუტერზე ანტივირუსული პროგრამები/დამცავი ბარიერი, პროგრამული განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ, დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდზე, ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება, დასაქმებულთა ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან და საქმისმწარმოებელთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა აღნიშნული მექანიზმების შესრულება. სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უფლებამოსილ ორგანოსთან გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაის შეთანხმების თაობაზე
2. სახანძრო უსაფრთოების დასკვის მოსაოვებლად გაგზავნილი წერილი
3. წერილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახელზე

4. სანიტარული ნორმების დაცვის დებულება
5. სანიტარული დასუფთავების აღრიცხვის ცხრილი
6. სკოლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები
7. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
8. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი
9. ადამიანებისა და პროცესების დაცვის მექანიზმი
10. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დაცვის მექანიზმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსსმინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი

ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება *169* ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განთავსებულია მისამართზე: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი საზანო სასახლის პირველი ქუჩა #2 მუშაობა მიმდინარეობს ორსართულიან შენობაში. აღნიშნულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. ცალკე შენობაშია განთავსებული სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობა, სადაც განთავსებულია გათბობის ქვაბის. სკოლის შესასვლელიში დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. სკოლის შენობაში ინტერნეტის მიწოდება ხდება გაყვანილი ქსელის მეშვეობით. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა მწირი სასწავლო რესურსით, კომპიუტერების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სპორტული მოედანი. კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 10 პერსონალური კომპიუტერით, 5 კომპიუტერი გადანაწილებულია დირექციის, სამასწავლებლოსა და რესურს ოთხებში. სკოლას აქვს 3 პროექტორი და 2 ქსეროქსის აპარატი. სკოლა გათვლილია 211 მოსწავლეზე. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 115 მოსწავლე. სრულადაა დაცული და

გამართული სტანდარტების შესაბამისად. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა მხატვრული, მეთოდური ლიტერატურითა და სასკოლო სახელმძღვანელოების წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. მისი მუშაობა ხორციელდება დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოების მატერიალური კატალოგი და ასევე ელექტრონული აღწერაც. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესები. სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი, რომლითაც ამ ეტაპზე სარგებლობს 3 სსსმ მოსწავლე. სპეცმასწავლებელთან, გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ რესურს ოთახის აღჭურვა-განახლება ხდება პერიოდულად მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროებების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ინფორმაციას აწვდის სპეციალური მასწავლებელი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მასში განთავსებული ხელსაწყოები თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის ვინც სწავლობს ბუნებისმეტყველებას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგია, თუმცა რესურსები მწირია და მოძველებული. ლაბორატორია საჭიროებს დამატებით რესურსებით აღჭურვას. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია არა

მხოლოდ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილზე, არამედ ნებისმიერი მასწავლებელისთვის, რომელიც დაგეგმავს გაკვეთილს ისე, რომ საჭიროებას მოითხოვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ასევე, ყველასათვის ხელმისაწვდომია სპორტული მოედანი. ასევე სკოლის შენობაში არსებული დიდი დერეფანი. ცუდი ამინდის შემთხვეაშვი სპორტის გაკვეთილი ტარდება საკლასო ოთახებსა და სააქტო დარბაზში. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული მოედანის გამოყენება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები, სსსმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახში განთავსებულია საჭირო ინვენტარი, გამოკრულია რესურსოთახით სარგებლობის განრიგი თითოეული მოსწავლისათვის სკოლის შენობას აქვს პანდუსი, სკოლის შენობაში სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. შესაბამისად ყველა საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. სკოლის შენობაშია განთავსებული სველი წერტილები, მათ შორის - ადაპტირებულიც, როგორც ვაჟებისთვის , ასევე გოგონებისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკაში მოწყობილი სამკითხველო სივრცე, გარე სპორტული მოედანი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისათვის გამოყენებულია დერეფნები და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის პროექტების განხორიცელების კარგი გამოცდილება. სკოლაში დაწყებულია პროექტი კულტურული მემკვიდრეობა. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო და საწრეო მუშაობა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები(kargiskola.ge, chveniskola.ge, etwinning.net, geogebra, ხანის აკადემია, ტელესკოლის გაკვეთილები, silknet-ის საშინაო გაკვეთილები, learningapps.com, school.emis.ge, canva.com, quizlet.com, wordwall.com, lichess.org, kongo.ge.) რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების არსებობა დასტურდება როგორც დათვალიერებით, ისე შესყდვების დოკუმენტაციითა და სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლას ელექტრონულად წარმოდგენილი აქვს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული

სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურის, მეთოდური ლიტერატურის კატალოგი. სკოლას მიერცა რჩევა ასევე უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი რესურსების კატალოგის შექმნა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. 2022 წლის სკოლის ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტი
3. ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება
4. ბიბლიოთეკის მატერიალური კატალოგი
5. ელექტრონული რეესტრი ჩადებულია ინვენტარიზაციის მასალებში
6. საგნობრივი კურიკულუმი
7. პროექტები
8. ფოტომასალა
9. ინვენტრიზაციის მასალები
10. რეაბილიტაციის დროს შესრულებული სამუშაოს დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. ინტერნეტითა და კომპიუტერებით უზრუნველყოფილია საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, საკლასო ოთახები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. სკოლაში ინტერნეტდაფარვა ხდება გაყვანილი ქსელების მეშვეობით. ყველა კლასში და

სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის პროექტორები, ქსეროქსის აპარატი, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლას საგაკვეთილო ცხრილი შემუშავებული აქვს ისე, რომ ლაბორატორების გამოყენების საშუალება ჰქონდეს ყველა კლასსა და შესაბამის მასწავლებელს. სკოლის IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლებისა და სკოლის პერსონალისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს დამატებითი ტექნიკის საჭიროებას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიისა და იქ არსებული რესურსებით სარგებლობის წესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფოტოები - კომპიუტერითა და ინტერნეტით უზრუნველყოფის
2. მიღება-ჩაბარების აქტები (წარმოადგინეს ვიზიტზე)
3. ვიზიალური დათვალიერება ვიზიტის ფარგლებში
4. ციფრული განვითარების გეგმა
5. მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, ასევე საქმისმწარმოებელი აწარმოებს მატერიალურად შემოსული დოკუმენტაციის ჟურნალში რეგისტრაციას მატერიალურად. პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმისწარმოება. სკოლამ დოკუმენტაციაში წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები, არ შეიცავდა ორგანიზაციის დასახელებას, მაგრამ სკოლამ ვიზიტის დროს დაგვახვედრა ახალი გამოცემული ბრძანებები, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო რეკვიზიტს. ბრძანებები ტარდება eflow-ში, შემდეგ ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში და ინახება მატერიალური სახით. სტრუქტურული ერთეულები თავის შეხვედრების შესახებ გამოსცემენ ოქმებს. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. შესაბამისად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, საშტატო განრიგი, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად სკოლა წარუდგენს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ პრეზიდენტს, პარლამენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის eschool -ის გვერდი

2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
5. საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო

საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად ანახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია მშობელთან ურთიერთობის პრინციპებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და ვალდებულებებს. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ფორმების და დამკვირდებული წესის შესახებ. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაციას ათავსებს ეტაპობრივად და აქვს მზაობა საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს ვებგვერდის საშუალებით. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. არაფორმალური სწავლების სხვადასხვა სახეები და ღონისძიებები. ამასთან, დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც სკოლა ათავსებს ინფორმაციას. ვებგვერდი ახალი შექმნილია და სკოლას სრულყოფიალად განთავსებული აქვს სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა. სკოლა გეგმავს ვებ გვერდზე განათავსოს სკოლაში მოქმედი წესების ამსახველი დოკუმენტაცია და საზოგადოებას გაუზიაროს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების თაობაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. მშობელთან ურთიერთობის დებულება
3. სკოლის შინაგანაწესი
4. საინფორმაციო დაფა
5. სკოლის სოციალური გვერდი
6. სოციალური ქსელის ჯგუფები
7. სკოლის ვებ გვერდიშეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსურ მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით. ასევე მცირე დაფინანსება აქვს დამატებითი არასავალდებულო ფასიანი მომსახურებიდან(თანხის 80% ეძლევა მასწავლებელს ხელფასის სახით, ხოლო 20% რჩება სკოლას). დაფინასების უმეტესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფას. დარჩენილი თანხა მიმართულია კომუნალური გადასახადებისა და იმ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, რაც სკოლას გამართულად ფუნქციონირებისათვის ჭირდება. სკოლას ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას ფინანსების განკარგავს დადგენილი წესის შესაბამისად. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორი სასკოლო საზოგაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების

გეგმის გათვალისწინებით არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. ბუღალტერმა წარმოგვიდგინა საპროგნოზო ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, შესყიდვების წლიური გეგმა, ბრძანება შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი
2. შესყიდვების გეგმა
3. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს #3 საჯრო სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. დოკუმენტის მე-9 თავი ეთმობა მოსწავლის წახალისების ფორმებსა და დისციპლინური წარმოების საკითხებს. მე-11 თავი მოიცავს სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. დოკუმენტის პირველი თავი მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების ჩამონათვალსა და მისი დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურებს. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით. მრჩეველთა საბჭოს ევალება ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორისთვის რეკომენდაციების გაცემა. სკოლას ჰყავს

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ასევე ზრუნავს უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. შიდა სასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, სკოლაში მოქმედი მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოში.

საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს.

სასკოლო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცედურები, სსსმ მოსწავლისთვის ინდ. გეგმის შემუშავების რეგულაციები. სკოლაში სსსმ მოსწავლეებს ემსახურებათ სპეც. მასწავლებელი. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის თითოეული სსსმ მოსწავლისთვის ინდ. ჯგუფებს, არსებობს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ხორციელდება მისი სისტემატური მონიტორინგი. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს რესუს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. შემუშავებულია რესურ-ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი. სსსმ მოსწავლეები თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულნი არიან ასევე არაფორმალური განათლების აქტივობებში: პროექტებში, გამოფენებსა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში მოქმედი ყველა დოკუმენტი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მასში შესატანი

ცვლილებებიც მზადდება ყველა რგოლის ჩართულობით. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სკოლაში მოქმედ წესებს. დოკუმენტებს, რომლითაც რეგულირდება მათი უფლებები და მოვალეობები. სკოლის ვებ გვერდი შემუშავების პროცესშია, სკოლა გეგმავს მარეგულირებელი დოკუმენტების სკოლის ვებ გვერდზე განთავსებას, რათა გაიზარდოს დოკუმენტების ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა პირველკლასელი მოსწავლის მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულება მოიცავს სკოლის მხრიდან აღებულ ვალებულებებსა და უფლებებს და მეორეს მხრივ მშობლისა და მოსწავლის ვალდებულებსა და უფლებებს, შინაგანაწესის გაცნობაზე თანხმობას, ასევე მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე თანხმობას, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. ხელშეკრულების გაფორმება ხდება ასევე სახელმძღვანელოების გადაცემის შემთხვევაშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის შინაგაწესი
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
3. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება წიგნების გადაცემის თაობაზე
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერიწარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

5. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძნება
6. მრჩეველთა საბჭოს შექმინის ბრძანება
7. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
8. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
9. სამეურვეო საბჭოს ოქმი
10. მშობელთა კრების ოქმი
11. პროექტები
12. მშობელთან ურთიერთობის დებულება
13. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
14. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის წესი
15. ისგ-ს შექმნის ბრძანება
16. ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა
17. ინდივიდუალური გეგმა
18. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა
19. მასწავლებეთა მორიგეობის განრიგი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. ასევე სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის პროცედურები. დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვისა და რეგისტაციის ეტაპებს, საფეხურის დაძლევისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, მობილობის შემთხვევაში გასათვალისწინებელ პროცედურებს, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურებს, სკოლის დირექტორის სახელზე დასაწერი განცხადების ნიმუშებს. ასევე სკოლის შინაგანაწესიც ითვალისწინებს სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებისა და სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა.

ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური

დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სკოლას გათავისებული აქვს, რომ სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელს ევალება აწარმოოს მოკვლევა მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურდა ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში დაგეგმილი ღონისძიების თუ პროექტების შესახებ ინფორმაცია ყველა მოსწავლისთვის თანაბრადაა ხელმისაწვდომი და მოანაწილეობაც მათი სურვილის შესაბამისად ხდება. სკოლა ახორციელებს როგორც სპორტულ ასევე შემეცნებით აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობენენ მოსწავლეების აკადემიური მაჩვენებლების ზრდას. მშობლებსა და მოსწავლეებს ასევე აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლაში ხელმისაწვდომია ცეკვის წრე, მასში ჩართვა ფასიანია და გაწევრიანება ხდება მოსწავლისა და მშობლის თანხმობის საფუძველზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სოციალური გვერდისა და ,,ეტალონისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს. სკოლის სოციალური ქსელით პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული და სკოლის ფეისბუქ გვერდზე ფართოდ გაშუქებული, სადაც მოსწავლეთა სურათები მშობელთა თანხმობის საფუძველზეა გამოქვეყნებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლის განცხადება სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა.
3. მშობელთა კრების ოქმი
4. სკოლის ვებ გვერდი
5. Etaloni.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიები
6. მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
7. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ დამატებით დოკუმენტაციაში წარმოადგინა დირექტორის #2-73 ბრძანებით დამტკიცებული დანართი #2 რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს, რომელშიც გაწერილია პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციის მექანიზმები. დოკუმენტი მოიცავს მოსწავლეთა გამოკითხვის საორიენტაციო კითხვარს და ასევე მშობლის მხრიდან გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს. აქტივობების განხორციელება ევალება კლასის დამრიგებელს, ხოლო პროცესს მონიტორინგ უწევს დირექტორის მოადგილე. სკოლა გამოთქვამს მზაობას შემუშავებული მექანიზმების შესრულებასა და საჯაროობასთან დაკავშირებით. სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტში ასევე შეიტანოს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პროცედურები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ახალი სასკოლო გარემო ყველა ბავშვისთვის განსაკუთრებულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ზეიმებს, რათა პატარებს დადებითი ემოცია გაუჩნდეთ სკოლისადმი. სკოლა ურთიერთობს საბავშვო ბაღთან. სკოლის ადმინისტრაცია და პირველ კლასში შემავალი მასწავლებლები ბაღის აღსაზრდელთა მშობლებისთვის აკეთებენ პრეზენტაციას, აცნობენ სკოლის კულტურას, მიღწევებს, იმ მეთოდებს, აქტივობებსა და რესურსებს, რომელსაც დაეუფლებიან პირველკლასელები. ინტერვიუდან ირკვევა, რომ როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის, ხელი ეწყობა მის ადაპტაციას სკოლასთან, შესაბამის კლასთან და ძირითადად ამ ფუნქციას კლასის დამრიგებელი ითავსებენ. ახალ მოსწავლეს სკოლაში თანატოლები უწევენ მეგზურობას, რაც აადვილებს მის ადაპტაციას კლასთან და სკოლასთან. სკოლაში თბილი და მეგობრული ატმოსფეროა. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაში აქვთ. მოსწავლეს დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სასკოლო პროექტების შესახებ, რათა მან თავისი სურვილის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება რომელში ჩაერთვება. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. დირექციასთან, მასწავლებლებთან, კლასის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად აცნობენ

მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლა/მასწავლებელი სთავაზობს მას დამატებით კონსულტაციებს, მეცადინეობებს. ამისთვის სკოლა ძირითადად იყენებს teams-ის პლატფორმას, messenger ჯგუფებს ან სატელეფონო კომუნიკაციას. კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომ უფლება აქვთ არ დაეთანხმონ საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვონ ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ საგნის მასწავლებლები დამატებით მხარდაჭერას უწევენ მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში, თუმცა ეს გეგმის სახით სკოლას გაწერილი არ აქვს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო წლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ მათ უფლებების და მოვალეობებს. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ აწვდის ინფორმაციას სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების თაობაზე. მათ აქვთ ინფორმაცია მობილობის ვადებისა და პროცედურების, სემესტურლი გამოცდის მოთხოვნის, ექსტერნის გამოცდაზე რეგისტრაციის თაობაზე. ასევე იციან, რომ მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი მათ გაუწევს მომსახურებას საჭიროების შემთხვაში და მომსახურება უფასოა. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციტივით იქმნება კლუბები და მიმდინარეობს კლუბური მუშაობა მასწავლებელთა დახმარებით, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმებით. მოსწავლეები თავისი

სურვილით ირჩევენ არჩევით საგანს და სკოლა ხელს უწყობს მათი არჩეული საგნის სწავლებას. სკოლას არჩეული ჰქონდა ,,მეწარმეობის საფუძვლები“, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა კლუბი ,,ხელნაკეთი ნივთები“. მოსწავლეები თავისი ინიციატივითა და სურვილის გათვალისწინებით ერთიანდებიან იმ კლუბებსა და წრეებში, რომლებსაც სკოლა და მოსწავლეთა თვითმმართველობა სთავაზობს. ასეთები იყო სამოქალაქო განათლების კლუბი ,,აქტიური თაობა“, გეოგრაფიის კლუბი ,,ოკიუმენე“, ხელოვნების წრე ,,ხელოვანი და სამყარო“ ჩატარებული ღონისძიებები შუქდება სკოლის ფეისბუქგვერდზე და Etaloni.ge-ზე, რაც მოსწავლეთა მეტ მოტივაციასა და წახალისებას იწვევს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე, სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ღონისძიებების, კონფერენციების სათანადო გარემოში გამართვას. სკოლას აქვს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების პრეზენტაციის, გამოფენის სახით წარმოდგენის პრაქტიკა. სკოლას აქვს აქტივობებში მონაწილე მოსწავლეთა სერტიფიკატებითა და სიგელებით დაჯილდოების პრაქტიკა. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. დოკუმენტი კიდევ მეტ სიზუსტეს მისცემს ამ მიმართულებას და კანონმდებლობით იქნება დარეგულირებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც მოწოდებულია როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში და გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებულ კომენტარებში. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათ, თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშავოს უკუკავშირის მიღების უფრო მოქნილი მექანიზმი და გამოყოს ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი (საკლასო/სასკოლო)
2. სკოლის სოციალური გვერდი
3. მოსწალეთა თვითმმართველობის ოქმი
4. სადამრიგებლო პროგრამა
5. საკლუბო და საწრეო მუშაობის პროგრამები.
6. ექსკურსიის გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სპეციალური კურსი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ჩაშენებული სასკოლო სასწავლო გეგმაში არ აქვს, მაგრამ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიის თაობაზე. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები.

   სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა პროფესიული ორიენტაციის სხვადასხვა მექანიზმი, როგორიცაა ჰოლანდის კითხვარი, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების კითხვარი, პიროვნებეის საკვლევი კითხვარი კარიერული კონსულტაციისთვის.

სკოლა ასევე აწყობს ექსკურსიებს სხვადასხვა პროფესიის მიმართულებით. გეოგრაფიის კლუბის ,,ოიკუმენეს“ წევრები აგროტურიზმის მიმართულებით სტუმრად იმყოფებოდნენ ,,ოთოს მარანში“, გაეცნენ ღვინის დამზადები ტექნიკას.

ასევე მოსწავლეები ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ კოლეჯ ,,კონსტურქტ2-ში“ და ფეროშენადნობთა ქარხანაში. კოლეჯში გაეცნენ სხვდასხვა პროფესიებს, ასევე დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა და სწავლის პირობები. ხოლო ქარხანაში შეძლეს გაესაუბრება იქ მომუშავე სხვადსახვა პროფესიის წარმომადგენლებთან და გაეცნენ მათ სამუშაო აღწერილობას. მოსწავლეებს ასევე შეხვედრები ჰქონდათ ჯანდაცვისა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. სკოლას აქვს მზაობა კიდევ უფრო გააფართოოს ამ მიმართულებით მუშაობა და მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის თაობაზე. სასწავლებლებისა და პროფესიების მითიტებით. ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია საშუალო საფეხურის შემდეგ სწავლის უმაღლესში გაგრძელების თაობაზე. ერთიანი ეროვნული გამოცედების რეგისტრაციის ვადებისა და უფასო და ფასიანი ფაკულტეტების თაობაზე. ასევე ამ მიმართულებით სიახლეები ზიარდება სკოლის ფეისბუქ გვერდზეც. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა მომავალში კიდევ უფრო გააფართოვოს ამ მხრივ მცდელობები და მოიძიოს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯი, რომელსაც ექნება სურვილი მათთან თანამშრომლობის. გააფორმოს მათთან მემორანდუმი, ასევე გამოიყენოს მშობელთა რესურსი და ასაუბროს ისინი თავისი პროფესიის შესახებ. ასევე მოიწვიოს სკოლის კურსდამთავრებულები და მოაწყოს მათთან მოსწავლეთა შეხვედრები. მოიწვიოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და გააფართოოს მოსწავლეთა ცოდნა პროფესიების თაობაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სოციალური გვერდი
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. სკოლის წერილი ,,ჯორჯიან მანგანეზში“ ვიზიტის შესახებ
4. ჰოლანდის კითხვარი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად იცავს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კუთხით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები, ისგს ჯგუფის წევრები, ისგ ჯგუფის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს დამრიგებელს, მასვე აქვს

დავალებული შეხვედრების ოქმების შედგენა, დოკუმენტი ასევე მოიცავს სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას, დასწრებას, გაცდენებს და სსსმ მოსწავლეების შინ სწავლების პროცედურებს. სკოლაში სწავლობს 3 სსსმ მოსწავლე, ემსახურება სპეც. მასწავლებელი. eschool-ის ბაზის გადამოწმებით დადასტურდა, რომ დასკვნები ატვირთულია ემისის ბაზაში და განხორციელებულია საჭირო პროცედურა. ყველა სსსმ მოსწავლისათვის დგება ისგ ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ინდ. გეგემების შედგენაზე. ისგ ჯგუფების შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლებმა განსაზღვრეს მოსწავლეთა აქტუალური დონე, შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით გაწერეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოიძიეს რესურსები, შეარჩიეს აქტივობები და მოახდინეს სასკოლო დავალებების ადაპტირება. შემუშავებული და თვალსაჩინოდ გამოკრულია რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილი. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები. სპეც. პედაგოგთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეები ასევე სარგებლობენ ზესტაფონში არსებული დღის ცენტრით და იღებენ დამატებითი სპეციალისტების მომსახურებას. სკოლაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დასკვნის სახით წარმოადგენს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგებს. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება, სსსმ სტატუსის მინიჭება, მოხსნა, სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულისპეციალისტის მომსახურება, სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, ჩართულობა, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობა, შიდა მონიტორინგი, სამოქმედო გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერაში. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სკოლის შენობა ადაპტირებულია და ხელმისაწვდომია ყველა საერთო სარგებლობის სივრცე. სკოლას აქვს შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი რესუსროთახი. სპეც. მასწავლებელი და საგნის პედაგოგები ერთობლივად ზრუნავენ სსსმ მოსწავლეთა

შედეგების გაუმჯობესებაზე. მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით ისინი აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა აქტივობაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინდ.გეგმები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. ვიზიტის დროს დათვალიერება
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობს ინფორმაციას, რომ მათ სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებით, ქართული ცეკვის წრით, რომელში გაწევრიანებაც ფასიანია. აღნიშნულის შესახებ კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებებზე, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობენ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება ცეკვის წრის თაობაზე, რომელშიც გაწერილია მომსახურების საფასური და შესული თანხის გადანაწილების პროცენტობა. სასკოლოს ასწავლო გეგმაში გაწერილია პროგრამა, რომელსაც წრე ითვალისწინებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ,,მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 8 მიმართულებით. ტრანსპორტით სარგებლობს 60- მდე მოსწავლე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მშობლები განცხადებით ადასტურებენ შვილის ცეკვის წრეში გაწევრიანების სურვილს. ცეკვის წრისა და ტრანსპორტის მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით. სკოლაში გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი აწარმოებს ტრანსპორტით მომსახურების ტაბელს, სადაც გაწერილი კონკრეტული მარშუტები გზები მოსწავლეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა. აღნიშნული ტაბელი იწარმოება ყოველდღიურად ყოველ სასწავლო დღეს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ცეკვის წრეში მოსწავლეთა მომსახურე ხორციელდება უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ გააჩნია, თუმცა აღნიშნული

რეგულირდება სატრანსპორტო კომპანიასა და მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელი ხელშეკრულების პირობებშიც გაწერილია სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ნორმები და უსაფრთხო გადაადგილების ვალდებულება. კომპანია გამოთქვამს მზაობას მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ტრანსპორტით მომსახურების უწყისი
3. მშობლის განცხადება ცეკვის წრეში ჩარიცხვის თაობაზე
4. სკოლის დირექტორის ბრძანება ცეკვის წრის თაობაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი- დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით, კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე, ასევე დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებს. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი უნდა შემუშავდეს მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობით. აგრეთვე აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები მოსწავლეები და მშობლები. სკოლა გეგმავს და ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან; მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტული თემისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენას სკოლა გამოკითხვის (კითხვარის) საშუალებით ახდენს, ასევე სკოლაში არის „წინადადებების ყუთი“, რაც სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები და ინტერესები. აღნიშნულიდან, გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების

შესაძლებლობას. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შემუშავებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს და მასზე დაფუძნებით, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას; შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე ახალი კურიკულუმის შემუშავებას და დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წელის კურიკულუმების გაანალიზება და მის საფუძველზე ახალი კურიკულუმების შექმნა მოსწავლეთა, მშობელთა და კათედრის წევრთა ჩართულობით. უცხოური ენების მიმართულებით, მაგალითად წარმოდგენილია კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე, ირკვევა, რომ მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით, პედაგოგები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. შერჩეული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ასაკობრივი თავისებურებები. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსა და ინტერვიუებში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. პედაგოგები ერთობლივად მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე, შეთანხმების საფუძველზე დგინდება თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, განისაზღვრება კონტექსტ მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელების გზები, შეირჩევა საჭირო სასწავლო რესურსები შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დაზუსტებაში, რასაც ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, კონტექსტ მაგალითების, შედარების მაგალითების, სასწავლო რესურსებისა და აქტივობების სახით. რჩევა: სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნის პედაგოგებმა სამომავლოდ მეტად მოახდინონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების წევრებმა შემუშავებული კომპლექსური დავალებების ბარათები გაუზიარონ მშობლებს და მათგან მიიღონ უკუკავშირი.ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და საგნობრივ კათედრებს შორის. როგორც საავტორიზაციო განაცხადში იკითხება: კურიკულუმები, მისი მხარდამჭერი მასალები, როგორიცაა საგნობრივი, საწრეო და საკლუბო პროგრამები, ხელმისაწვდომია სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების მთლიანი შემადგენლობისთვის. ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების საშუალებად გამოიყენება საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, სატელეფონო საუბრები და მშობელთა კრებები. მეთოდოლოგიის დოკუმენტით და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
2. დაწყებითი საფეუხურის საგნობრივი კურიკულუმები,
3. მშობელთა კრების ოქმი N 4
4. დაწყებითი საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური

ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე, საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ მოსწავლე სწავლა-სწავლების აქტიური სუბიექტია. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი კურიკულუმები მჭიდრო კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მიემართება განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მათში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული შუალედური მიზნები, რომელშიც გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები. გასაუბრების დროს, პედაგოგებმა ისაუბრეს ესგ-ის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებსა და ხერხებზე.მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით. სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან (წერილი პერსონაჟს; მოთხრობის გაგრძელება; ამბის შედგენა წერილობით იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა მეგობარმა მეგობარი

სიმღერის წყალობით; პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით; პირადი თვალსაზრისის წერილობითი დასაბუთება იმის შესახებ, გამართლებულია თუ არა უპატრონო ძაღლების სახლში მიყვანა და მათზე ამ ფორმით ზრუნვა.),წარმოდგენილი საწრეო მუშაობის გეგმიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა , კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები.საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლამ წარმოადგინა „მე და საზოგადოების“ და „ჩვენი საქართველოს კურიკულუმები“ , რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები საკითხები , სამიზნე ცნებები ,კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმი საჭიროებს სრულყოფას.

რჩევა: კურიკულუმის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია კურიკულუმში განისაზღვროს კონტექსტ მაგალითები, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს კომპლექსური ტიპის დავალებები.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელშიც ჩანს, როგორ მუშაობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნული მასალები მოიცავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სხვა რესურსებს, რომლებიც სასწავლო გარემოს ხდის ინკლუზიურს, სადაც ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართულობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას მუშაობა ინკლუზიის მიმართულებით დასტურდება ისეთი დოკუმენტაციით, როგორიცაა ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების სქემა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მეცნიერებები შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმები, რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პასუხობს

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით ახორციელებს უკუკავშირს. მაგალითად, უცხოური ენის კათედრის წევრებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ერთი მათგანი პირველი უცხოური ენის (ინგლისურის) მაგალითზე, ხოლო მეორე - რუსული ენის მაგალითზე, სადაც მოცემულია ერთ-ერთი კომპლექსური დავალება და აღნიშნული დავალების განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. გარდა ამისა, დოკუმენტებში მოცემულია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები და აღწერილობა მოსწავლის მიღწევების დონე ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. გამონაკლისს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მეცნიერებები, სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას დაწყებით საფეხურზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირი.

რჩევა: სპორტის მიმართულებით , სასურველია სასწავლო წლის განმალობაში თითოეულ თემის კომპლექსური დავალების ქვეცნებებს დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში გამოვლენილ საუკეთესო პრაქტიკას, წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. მოსწავლეთა წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით, სწავლის შედეგების, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლისთვის დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას და შედეგების ასახვას საგნობრივ კურიკულუმში.მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით, როგორც სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუდან ირკვევა, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ეს იქნება მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი,

მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
6. სკოლის თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს თუ როგორ შეიძლება მიიღოს მოსწავლემ აქტიურ შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ყოველი კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო პროცესში სრელად ჩაბმას. მაშასადამე, კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტული დავალებებით მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქმედებით პროცესში ჩართული. ეს ყოველივე კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, რომ კეთების პროცესში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნებში პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან შემოქმედებით პროცესში კათედრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ისეთი აქტივობებითა და საკლასო პროექტებით, როგორიცაა „სუფთა და ჯანსაღი გარემო“, აუტიზმის დღესთან დაკავშირებით განხორციელებული პროექტი „არ დასცინო, დაეხმარე თვითდამკვიდრებაში!“, დაუნის დღესთან დაკავშირებით განხორციელებული პროექტი „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს!“, პროექტის, „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია“ ფარგლებში მოწყობილი გამოფენაში „ნარჩენების ეფექტური მართვა“. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ

შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმებსა და პედაგოგებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, რომ დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. გათვალისწინებულია სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მაგალითად, სპორტის მიმართულებით ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მიერ სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგებას. დავალების ყოველ ახალ ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს, როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა წაახალისონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეების თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სწავლის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ და იყვნენ სრულად ჩართული მეტაკოგნიტურ პროცესებში. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული ინფორმაციის გაანალიზებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალების პირობები) ახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას კერძოდ, ყოველი თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. სასწავლო პროცესში, ასეთი ფორმით მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები, ასევე, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. სკოლაში არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც წარმოდგენილი მასალებიც ამყარებს. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):7

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
4. დაწყებითი საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები

5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (I -VI კლასები) კურიკულუმებით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. მასწავლებლები, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას, შეფასების კრიტერიუმებს განიხილავენ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. შესაბამისად, მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული კავშირი სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითაც სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავალებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო

გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა რომ მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით.

რჩევა: ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, დაწყებით საფეხურზე, თემის ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებას დაერთოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლიც ორიენტირებას მოახდენს წლის განმავლობაში დასამუშავებენ გრძელვადიან მიზანზე/მიზნებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები მზად არიან არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც იზრუნონ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები მისცემს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. არაფორმალური განათლების დახმარებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება სასწავლო პროცესი. მაგალითად, სპორტის მიმართულებით, სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, თეორიული, პრაქტიკული, კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატები და ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. სხვადასხვა საგნებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ თემას, კრიტერიუმები სწორადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების

რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც აჩენებს, როგორ ხდება მოსწავლის ჰოლისტური მხარდაჭერა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასება შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების რუბრიკის შექმნაში. ასევე ჩანს, რომ პედაგოგები აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას თითოეული თემისათვის შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის გამოკვეთილი თუ როგორ ხორციელდება მოსწავლის შეფასება გამჭირვალედ სამართლიანად და ობიექტურად. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლითაც დასტურდება რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება გამჭირვალედ სამართლიანად და ობიექტურად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი სწავლების ხარისხის მონიტორინგით ადგენს სწავლა-სწავლების ხარისხს და განსაზღვრავს განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების მიზნებს. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში არსებობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია კათედრების და მოსწავლეების ჩართულობით. ასევე არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების მონიტორინგსა და ობიექტურობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, შემაჯამებელი დავალებები, ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. დოკუმენტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საგანმანათლებლო პროექტები
4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების წევრებთან გასაუბრების შედეგებსა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის სამოქმედო

გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გეგმავენ აქტივობებს ერთობლივად, რომლითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას და სკოლაში ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. თითოეულ კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და ასაკობრივ კატეგორიაზე, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა, კომპლექსური დავალებები,; პროცესი უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი და სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს, აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას, სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ემსახურება მოსწავლის ავტონომიურობას, მის წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას. მუდმივად ხორციელდება მოსწავლის საჭიროების მონიტორინგი, რათა პროცესი მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე იყოს მორგებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). ინტერვიუების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს, საგნობრივ კათედრებზე მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია

პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. დაწყებით საფეხურზე დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული გარემო, პედაგოგები უწყვეტად თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ამ მიზნით იგეგმება მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა უფლებები და უსაფრთხოება. სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წარმოაჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.

6. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.
7. გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია
8. საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია არეგულირებს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს,

კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით სკოლას აქვს ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის წარმოების გამოცდილება. კათედრას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები. ერთ-ერთ მათგანში- ოქმი N3 - წარმოდგენილია სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შეჯამება, მათ შორის გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრებების და დადგენილება. მიღებული უკუკავშირები და გამოცდილება გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში პედაგოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების ანალიზით ხდება სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც იკითხება რომ, დირექტორი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლისათვის ადგენს

ვერიფიკაციის გეგმას, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ პედაგოგები/ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმები
3. კათედრის სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე , ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრულყოფილი და რეალური ინფორმაცია. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას და მიიღება რეალური სურათი. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ამჟამად სკოლას არ აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი დაწყებით საფეხურზე, თუმცა სკოლა იყენებს წერილობით განმავითარებელ შეფასებას, რომელიც უფო მეტად ფუნქციური უნარების შეფასებას ახდენს, ვიდრე გრძელვადიანი მიზნების შეფასებას. სკოლა ასევე იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას თუმცა არ აქვს წარმოდგენილი მტკიცებულება .

   სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შეფასების დოკუმენტები, რომელშიც ასახულია საზოგადოებრივ მეცნიერებებში თუ როგორ ხდება მოსწავლეთა მრავალფეროვანი შეფასება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგები შეფასებისას უპირატესად კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი არ წარმოუდგენია დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. სკოლა გეგმავს სამომავლოდ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით შეფასების სხვადასხვა რუბრიკების

გამოყენება. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა მტკიცებულებები დაწყებით საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში როგორ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლისსტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. საზოგადოებრივ მეცნიერებებში, დაწყებით საფეხურზე , შეფასების მიდგომის უზრუნველსაყოფად გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში, სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ რა საშუალებებით მექანიზმებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება თუმცა ამ მიმართულებით კათედრამ მეტი სამუშაო უნდა გაწიოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია , რომლის მიხედვით დაწესებულება ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი. მონაცემების დამუშავების

საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით განავითარებს კურიკულუმებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება დანერგვის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ითვალისწინებენ მას კურიკულუმის შემუშავებისას. ინტერვიუირებისას ასევე გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კათედრას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლური ბუნება და იცის, როგორ გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება კურიკულუმის გადამუშავებისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
4. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით, კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე, ასევე დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებს. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი უნდა შემუშავდეს მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობით. აგრეთვე აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები მოსწავლეები და მშობლები. სკოლა გეგმავს და ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან; მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტული თემისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენას სკოლა გამოკითხვის (კითხვარის) საშუალებით ახდენს, ასევე სკოლაში არის „წინადადებების ყუთი“, რაც სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები და ინტერესები. აღნიშნულიდან , გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შემუშავებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,

ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს და მასზე დაფუძნებით, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას; შესაბამისად, საბაზო საფეხურზე ახალი კურიკულუმის შემუშავებას და დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წელის კურიკულუმების გაანალიზება და მის საფუძველზე ახალი კურიკულუმების შექმნა მოსწავლეთა, მშობელთა და კათედრის წევრთა ჩართულობით. უცხოური ენების მიმართულებით, მაგალითად წარმოდგენილია კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე, ირკვევა, რომ მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით, პედაგოგები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. შერჩეული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ასაკობრივი თავისებურებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსა და ინტერვიუებში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. პედაგოგები ერთობლივად მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე, შეთანხმების საფუძველზე დგინდება თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, განისაზღვრება კონტექსტ მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელების გზები, შეირჩევა საჭირო სასწავლო რესურსები შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დაზუსტებაში, რასაც ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, კონტექსტ მაგალითების, შედარების მაგალითების, სასწავლო რესურსებისა და აქტივობების სახით. რჩევა**:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნის პედაგოგებმა სამომავლოდ მეტად მოახდინონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების წევრებმა შემუშავებული კომპლექსური დავალებების ბარათები გაუზიარონ მშობლებს და მათგან მიიღონ უკუკავშირი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და საგნობრივ კათედრებს შორის. როგორც საავტორიზაციო განაცხადში იკითხება: კურიკულუმები, მისი მხარდამჭერი მასალები,

როგორიცაა საგნობრივი, საწრეო და საკლუბო პროგრამები, ხელმისაწვდომია სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების მთლიანი შემადგენლობისთვის. ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების საშუალებად გამოიყენება საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, სატელეფონო საუბრები და მშობელთა კრებები. მეთოდოლოგიის დოკუმენტით და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
3. მშობელთა კრების ოქმი N 4
4. საბაზო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე, საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ მოსწავლე სწავლა-სწავლების აქტიური სუბიექტია. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი კურიკულუმები მჭიდრო კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მიემართება განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მათში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული შუალედური მიზნები, რომელშიც გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები. გასაუბრების დროს, პედაგოგებმა ისაუბრეს ესგ-ის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებსა და ხერხებზე.მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში განსაზღვრული მისაღწევი მიზნები სამიზნე ცნებების სახით. მოცემული დავალებებიდან(პრეზენტაცია სასურველი ფორმატით თემაზე - ადამიანის ღირსება ძველად და ახლა; წარმოაჩინეთ თქვენ გარშემო არსებულ ეკოლოგიურ პრობლემები და მისი გადაჭრის თქვენეულ გზები;),წარმოდგენილი საწრეო მუშაობის გეგმიდან, ჩანს რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია,

თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა საგან ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმები რომელიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. გასაუბრების შემდეგ კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად გამართავენ კურიკულუმის ჩარჩოს. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელშიც ჩანს, როგორ მუშაობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნული მასალები მოიცავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სხვა რესურსებს, რომლებიც სასწავლო გარემოს ხდის ინკლუზიურს, სადაც ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართულობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას მუშაობა ინკლუზიის მიმართულებით დასტურდება ისეთი დოკუმენტაციით, როგორიცაა ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების სქემა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენს საზოგადოებრივი მეცნიერებები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით ახორციელებს უკუკავშირს. მაგალითად, სახელმწიფო ენისმიმართულებით წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომლებიც

წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. რჩევა: საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ სრულყოს შეფასების რუბრიკები; შეიმუშავოს ყველა თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში გამოვლენილ საუკეთესო პრაქტიკას, წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. მოსწავლეთა წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით, სწავლის შედეგების, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლისთვის დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას და შედეგების ასახვას საგნობრივ კურიკულუმში. მაგალითად, უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმების და თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შედეგად უნდა ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც გულისხმობს მასწავლებლების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების გადამუშავებას და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმში გაუმჯობესებული ვერსიის ასახვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა

4. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
6. სკოლის თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება მიიღოს მოსწავლემ აქტიურ

შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ყოველი კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო პროცესში სრელად ჩაბმას. მაშასადამე, კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტული დავალებებით მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქმედებით პროცესში ჩართული. ეს ყოველივე კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, რომ კეთების პროცესში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები. მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით საბაზო კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა (მაგალითად, პრეზენტაცია სასურველი ფორმატით თემაზე - ადამიანის ღირსება ძველად და ახლა; წარმოაჩინეთ თქვენ გარშემო არსებული ეკოლოგიურ პრობლემები და მისი გადაჭრის თქვენეულ გზები.) ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმებსა და პედაგოგებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, რომ საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. გათვალისწინებულია სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მაგალითად, მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება, რომ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტ-თემები, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ნაცნობი კონტექსტი მოსწავლეს გაუადვილებს, დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო

პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს, როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა წაახალისონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეების თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად. საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სწავლის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ და იყვნენ სრულად ჩართული მეტაკოგნიტურ პროცესებში. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული ინფორმაციის გაანალიზებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალების პირობები) ახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას კერძოდ, ყოველი თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. სასწავლო პროცესში, ასეთი ფორმით მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები, ასევე, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. სკოლაში არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც წარმოდგენილი მასალებიც ამყარებს. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
4. საბაზო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. მასწავლებლები, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას, შეფასების კრიტერიუმებს განიხილავენ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. შესაბამისად, მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული კავშირი სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითაც სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავალებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით. რჩევა: ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, საბაზო საფეხურზე, თემის ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებას დაერთოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლიც ორიენტირებას მოახდენს წლის განმავლობაში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზანზე/მიზნებზე. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც იზრუნონ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები მისცემს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. არაფორმალური განათლების დახმარებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება სასწავლო პროცესი. მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებებში ცხადია, რომ

მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის - სწავლაზე და მათი მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს პედაგოგის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. სხვადასხვა საგნებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ თემას, კრიტერიუმები სწორადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა საბაზო საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც წარმოაჩენს, როგორ ხდება მოსწავლის ჰოლისტური მხარდაჭერა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასება შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების რუბრიკის შექმნაში. ასევე ჩანს, რომ პედაგოგები აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას თითოეული თემისათვის შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე წარმოდგენელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოდგენილია თემის ფარგლებში არის გამჭირვალე, ობიექტური. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი სწავლების ხარისხის მონიტორინგით ადგენს სწავლა-სწავლების ხარისხს და განსაზღვრავს განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების მიზნებს. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში არსებობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია კათედრების და მოსწავლეების ჩართულობით. ასევე არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების მონიტორინგსა და ობიექტურობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, შემაჯამებელი დავალებები, ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. დოკუმენტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საგანმანათლებლო პროექტები

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების წევრებთან გასაუბრების შედეგებსა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გეგმავენ აქტივობებს ერთობლივად, რომლითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას და სკოლაში ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. თითოეულ კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და ასაკობრივ კატეგორიაზე, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა, კომპლექსური დავალებები,; პროცესი უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი და სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს,

ემოციურ ინტელექტს, აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას, სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ემსახურება მოსწავლის ავტონომიურობას, მის წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას. მუდმივად ხორციელდება მოსწავლის საჭიროების მონიტორინგი, რათა პროცესი მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე იყოს მორგებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). ინტერვიუების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს, საგნობრივ კათედრებზე მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურზე დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული გარემო, პედაგოგები უწყვეტად თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ამ მიზნით იგეგმება მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა უფლებები და უსაფრთხოება. სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების

შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წარმოაჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.
6. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.
7. გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია
8. საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3. 1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია არეგულირებს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ამის

მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტისა პედაგოგთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, რეფლექსიის შემუშავება. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას, საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. მონიტორინგს აღნიშნულ პროცესს უწევს სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში პედაგოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების ანალიზით ხდება სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც იკითხება რომ, დირექტორი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლისათვის ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ პედაგოგები/ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმები

3. კათედრის სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე , ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრულყოფილი და რეალური ინფორმაცია. მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას და მიიღება რეალური სურათი. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . ამჟამად სკოლა საბაზო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე, კომპლექსური დავალებისთვის. საგნებში გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა

სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა , რომ კათედრა შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებს. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, თუმცა არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, საჭიროებს დახვეწას და განვითარებას. ამ მიზნით გამოიყენებენ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით შეფასების სხვადასხვა რუბრიკებს. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად.საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლაში, სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ რა საშუალებებით მექანიზმებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება თუმცა ამ მიმართულებით კათედრამ მეტი სამუშაო უნდა გაწიოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია , რომლის მიხედვით დაწესებულება ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი. მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით განავითარებს კურიკულუმებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება დანერგვის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ითვალისწინებენ მას კურიკულუმის შემუშავებისას. ინტერვიუირებისას ასევე გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კათედრას გაცნობიერებული აქვს

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლური ბუნება და იცის, როგორ გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება კურიკულუმის გადამუშავებისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
4. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საშუალო საფეხური

II. ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ შეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით, კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე, ასევე დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებს. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი უნდა შემუშავდეს მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობით. აგრეთვე აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები მოსწავლეები და მშობლები. სკოლა გეგმავს და ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან; მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტული თემისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენას სკოლა გამოკითხვის (კითხვარის) საშუალებით ახდენს, ასევე სკოლაში არის „წინადადებების ყუთი“, რაც სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები და ინტერესები. აღნიშნულიდან , გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შემუშავებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს და მასზე დაფუძნებით, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას; შესაბამისად, საშუალო საფეხურზე ახალი კურიკულუმის შემუშავებას და დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წელის კურიკულუმების გაანალიზება და მის საფუძველზე ახალი კურიკულუმების შექმნა მოსწავლეთა, მშობელთა და კათედრის წევრთა ჩართულობით. უცხოური ენების მიმართულებით, მაგალითად წარმოდგენილია კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე, ირკვევა, რომ მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით, პედაგოგები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. შერჩეული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ასაკობრივი თავისებურებები. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსა და ინტერვიუებში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. პედაგოგები ერთობლივად მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე, შეთანხმების საფუძველზე დგინდება თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, განისაზღვრება კონტექსტ მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელების გზები, შეირჩევა საჭირო სასწავლო რესურსები შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია ეხმარებათ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დაზუსტებაში, რასაც ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, კონტექსტ მაგალითების, შედარების მაგალითების, სასწავლო რესურსებისა და აქტივობების სახით. რჩევა**:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნის პედაგოგებმა სამომავლოდ მეტად მოახდინონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების წევრებმა შემუშავებული კომპლექსური დავალებების ბარათები გაუზიარონ მშობლებს და მათგან მიიღონ უკუკავშირი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და საგნობრივ კათედრებს შორის. როგორც საავტორიზაციო განაცხადში იკითხება: კურიკულუმები, მისი მხარდამჭერი მასალები, როგორიცაა საგნობრივი, საწრეო და საკლუბო პროგრამები, ხელმისაწვდომია სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების მთლიანი შემადგენლობისთვის. ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების საშუალებად გამოიყენება საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, სატელეფონო საუბრები და მშობელთა კრებები. მეთოდოლოგიის დოკუმენტით და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
3. მშობელთა კრების ოქმი N 4
4. საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე, საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ მოსწავლე სწავლა-სწავლების აქტიური სუბიექტია. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი . ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი კურიკულუმები მჭიდრო კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მიემართება განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მათში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული შუალედური მიზნები, რომელშიც გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები. გასაუბრების დროს, პედაგოგებმა ისაუბრეს ესგ-ის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებსა და ხერხებზე.მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში განსაზღვრული მისაღწევი მიზნები სამიზნე ცნებების სახით. სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან (დაწერეთ მხატვრულ-დოკუმენტური

თხზულება სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“, ანალიტიკური ესე თემაზე: „შურისძიებიდან მიტევებამდე — ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“. პიესის — „გაყრა“ — ერთი მოქმედების გადაკეთება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.), წარმოდგენილი საწრეო მუშაობის გეგმიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა , კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. საშუალო საფეხურზე საზ.მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმები რომელიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. გასაუბრების შემდეგ კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად გამართავენ კურიკულუმის ჩარჩოს.რჩევა: მე-11 კლასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები შესაბამისად, მიეთითოს შუალედური მიზნები/კომპლექსური ტიპის დავალებები და კონტექსტ მაგალითები ასევე მიეთითოს, რომელ გრიფირებულ სახელმძრვანელოზე დაყრდნობით მუშაობს კათედრა ამ მიმართულებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს საშულო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელშიც ჩანს, როგორ მუშაობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნული მასალები მოიცავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სხვა რესურსებს, რომლებიც სასწავლო გარემოს ხდის ინკლუზიურს, სადაც ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართულობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას მუშაობა ინკლუზიის მიმართულებით დასტურდება ისეთი დოკუმენტაციით, როგორიცაა ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების სქემა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენს საზოგადოებრივი მეცნიერებები.სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა კურიკულუმები, რომელშიც გათვალიწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პასუხობს

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით ახორციელებს უკუკავშირს.მაგალითად, უცხოური ენების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ერთი მათგანი პირველი უცხოური ენის (ინგლისურის) მაგალითზე, ხოლო მეორე - რუსული ენის მაგალითზე, სადაც მოცემულია ერთ-ერთი კომპლექსური დავალება და აღნიშნული დავალების განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. გარდა ამისა, დოკუმენტებში მოცემულია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები და აღწერილობა მოსწავლის მიღწევების დონე ესგ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. რჩევა: საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ სრულყოს შეფასების რუბრიკები; შეიმუშავოს ყველა თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკები. რჩევა: სპორტის მიმართულებით , სასურველია სასწავლო წლის განმალობაში თითოეულ თემის კომპლექსურ დავალების ქვეცნებებს დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში გამოვლენილ საუკეთესო პრაქტიკას, წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. მოსწავლეთა წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით, სწავლის შედეგების, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლისთვის დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას და შედეგების ასახვას საგნობრივ კურიკულუმში. მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით პედაგოგები ახორციელებდნენ კომპლექსური ბუნების დავალებებს და კურიკულუმის შემუშავებისას გამოიყენებს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; მასწავლებლებმა ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზეც, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
6. სკოლის თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს თუ როგორ შეიძლება მიიღოს მოსწავლემ აქტიურ შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ყოველი კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო პროცესში სრელად ჩაბმას. მაშასადამე, კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტული დავალებებით მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქმედებით პროცესში ჩართული. ეს ყოველივე კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, რომ კეთების პროცესში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები. სახელმწიფო ენის მიმართულებით, გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა (მაგალითად, დაწერეთ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“; ანალიტიკური ესე თემაზე: „შურისძიებიდან მიტევებამდე — ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“; პიესის — „გაყრა“ — ერთი მოქმედების გადაკეთება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.)ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმებსა და პედაგოგებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, რომ დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. გათვალისწინებულია სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი

პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ.მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით, კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ მთავარი ორიენტირი მოსწავლეა. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, რაც იწვევს მათ აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს, როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა წაახალისონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში.შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეების თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად. საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სწავლის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ და იყვნენ სრულად ჩართული მეტაკოგნიტურ პროცესებში. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული ინფორმაციის გაანალიზებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალების პირობები) ახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას კერძოდ, ყოველი თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. სასწავლო პროცესში, ასეთი ფორმით მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების

საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები, ასევე, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. სკოლაში არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც წარმოდგენილი მასალებიც ამყარებს. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
4. საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამები.
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი (X-XII კლასები) კურიკულუმებით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. მასწავლებლები, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას, შეფასების კრიტერიუმებს განიხილავენ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. შესაბამისად, მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული კავშირი სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითაც სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავალებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით. რჩევა: ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, საშუალო საფეხურზე, თემის ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებას დაერთოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლიც ორიენტირებას მოახდენს წლის განმავლობაში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზანზე/მიზნებზე. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო

პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც იზრუნონ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები მისცემს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. არაფორმალური განათლების დახმარებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება სასწავლო პროცესი. მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე, კლასის საათისათვის, საწრეო მუშაობებისთვის შერჩეული თემატიკა, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და დავალებები ,სადაც მოსწავლეებს უწევთ თვითგამოხატვა, მსჯელობა საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე , ადასტურებს, რომ კათედრას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. სხვადასხვა საგნებში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ თემას, კრიტერიუმები სწორადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის და იდენტიფიცირებულია მოსწავლეთა მიღწევის დონე. საზოგადოებრივ მეცნიერებებში არ არის წარმოდგენილი, სრულყოფილი სახით, საშუალო საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც წარმოაჩენდა , როგორ ხდება მოსწავლის ჰოლისტური მხარდაჭერა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.რჩევა : კათედრამ წარმოადგინოს საზოგადოებრივ მეცნიერებებში , საშუალო საფეხურზე თუ როგორ ახორციელებს მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასება შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების რუბრიკის შექმნაში. ასევე ჩანს, რომ პედაგოგები აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას თითოეული

თემისათვის შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურზე წარმოდგენელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოდგენილია თემის ფარგლებში არის გამჭირვალე, ობიექტური. რჩევა : ყველა თემის ფარგლებში კათედრამ შეიმუშავოს შეფასების ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი სისტემაზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტები /რუბრიკები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი სწავლების ხარისხის მონიტორინგით ადგენს სწავლა-სწავლების ხარისხს და განსაზღვრავს განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების მიზნებს. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში არსებობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია კათედრების და მოსწავლეების ჩართულობით. ასევე არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების მონიტორინგსა და ობიექტურობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, შემაჯამებელი დავალებები, ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. დოკუმენტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საგანმანათლებლო პროექტები

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების წევრებთან გასაუბრების შედეგებსა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გეგმავენ აქტივობებს ერთობლივად, რომლითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას და სკოლაში ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. თითოეულ კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და ასაკობრივ კატეგორიაზე, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა, კომპლექსური დავალებები,; პროცესი უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი და სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს,

ემოციურ ინტელექტს, აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას, სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ემსახურება მოსწავლის ავტონომიურობას, მის წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას. მუდმივად ხორციელდება მოსწავლის საჭიროების მონიტორინგი, რათა პროცესი მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე იყოს მორგებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). ინტერვიუების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს, საგნობრივ კათედრებზე მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. საშუალო საფეხურზე დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული გარემო, პედაგოგები უწყვეტად თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ამ მიზნით იგეგმება მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა უფლებები და უსაფრთხოება. სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წარმოაჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.
6. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.
7. გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია
8. საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია არეგულირებს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგებიდან ცხადი ხდება, რომ სკოლის გუნდი გამოცდილების საფუძველზე გააუმჯობესებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასებენ და დაადგენენ მოსწავლეთა იმ უნარებს,

სადაც მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა და ამის გათვალისწინებით დაგეგმავენ სწავლის შემდგომ პროცესს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში პედაგოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების ანალიზით ხდება სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც იკითხება რომ, დირექტორი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლისათვის ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ პედაგოგები/ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმები
3. კათედრის სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე , ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრულყოფილი და რეალური ინფორმაცია. მოსწავლეთა შეფასება საშუალო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას და მიიღება რეალური სურათი. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . ამჟამად სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე, კომპლექსური დავალებისთვის. საგნებში გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, თუმცა დასახვეწია.რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კათედრამ სრულყოს საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები, თემის ფარგლებში და დაეყრდნოს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას დაეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, მშობლები, წრე და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეეცდებიან გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტები, როგორც მოსწავლეთა შეფასებისას, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპლექსური

დავალებებით სწავლება იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა , რომ კათედრა შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებს. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, თუმცა არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, საჭიროებს დახვეწას და განვითარებას. ამ მიზნით გამოიყენებენ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით შეფასების სხვადასხვა რუბრიკებს. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. რჩევა : საზოგადოებრივ მეცნიერებებში, კათედრამ სრულყოს შეფასების რუბრიკები . ასევე შეფასება განახორციელოს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად.საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. რჩევა: საზოგადოებრივ მეცნიერებებში , საშუალო საფეხურზე, შეფასების მიდგომის უზრუნველსაყოფად გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი . ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლაში, სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას

შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ რა საშუალებებით მექანიზმებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება თუმცა ამ მიმართულებით კათედრამ მეტი სამუშაო უნდა გაწიოს. რჩევა : საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინოს თუ როგორ ახორციელებს შეფასებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია , რომლის მიხედვით დაწესებულება ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი. მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით განავითარებს კურიკულუმებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება დანერგვის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ითვალისწინებენ მას კურიკულუმის შემუშავებისას. ინტერვიუირებისას ასევე გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კათედრას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლური ბუნება და იცის, როგორ გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება კურიკულუმის გადამუშავებისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
4. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავით ჩივაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ია ვარდოსანიძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ლელა წურწუმია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ნებიერიძე უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი

თამარ დეკანოსიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ტაბუცაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეა გაბისონია სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნატო გერგაია მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნათია კოხოძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

` მიხეილ გაფრინდაშვილი სპორტის საგნობრივი ექსპერტი

31.10.2023

თარიღი